საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლაგოდეხისწყალი

ლაგოდეხისწყალი, მდინარე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, მაწიმისწყლის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს კახეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, ზ. დ. 2995 მ-ზე. სიგრძე 31 კმ, აუზის ფართ. 98 კმ^2. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზაფხულსა და ზამთარში, წყალმოვარდნები – შემოდგომაზე. საშ. წლ. ხარჯი 2,5 მ ^{3}/წმ. იყენებენ სარწყავად.